განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 9 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის დოქტორი (ხელოვნების მენეჯმენტში)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი პანდელის იპსილანდისი თესალონიკი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი თამაზ გაბისონია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ნათია დაღელიშვილი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი (სტუდენტი ექსპერტი) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამას გვთავაზობს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (TAFU) სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტს თბილისში. TAFU ქვეყნის მასშტაბით, ხელოვნების დარგში წამყვან უნივერსიტეტად ითვლება, რომელიც მხოლოდ სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების სწავლებას ემსახურება. სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე დიდი ფაკულტეტია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა რაოდენობის თვალსაზრისით. ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის პროგრამებს ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში, მასობრივ კომუნიკაციებში (ტელევიზია, რადიო ჟურნალისტიკა), ხელოვნების მენეჯმენტსა და კულტურულ ტურიზმში, ასევე სადოქტორო სწავლებას ხელოვნებაში, მედიასა და ხელოვნების მენეჯმენტში. ფაკულტეტი სათანადოდ აფასებს ხელოვნებისა და კულტურის საგანძურს, როგორც სოციალურ ეკონომიკური განვითარებისთვის ფასეულ რესურსს და იაზრებს ახალი, მაღალკვალიფიციური მეცნიერების მომზადების მნიშვნელობას, რომელთაც ექნებათ ცოდნა და უნარები, გადაჭრან ქვეყანაში ხელოვნების მენეჯმენტთან არსებული პრობლემები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა სამშაბათს, 9 ოქტომბერს. ვიზიტამდე ექსპერტთა საბჭომ მიიღო თვითშეფასების ანგარიში (SER), პროგრამის აღწერის დოკუმენტი თანდართული პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსით (ინგლისურად), დოკუმენტები საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, აკადემიური პერსონალის შესახებ, CV-ები და დოკუმენტაცია და სხვ. (ქართულ ენაზე). ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს და კომენტარი გააკეთოს იმაზე, რომ უნივერსიტეტს უამრავი ინფორმაცია აქვს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე, რაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის მართვის გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც აფილირებულ წევრებს, ისე მოწვეულებს), სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ვიზიტის პერიოდში დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ სიღრმისეულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კულტურის სფეროს მენეჯმენტში. უნივერსიტეტი, პროგრამის ადმინისტრირების ჯგუფები და დამსაქმებელთა წარმომადგენლები კულტურული ორგანიზაციებიდან იზიარებენ საერთო ხედვას, რომ კულტურა ნამდვილად მნიშნელოვანი, მაღალი ფასეულობის მქონე ეროვნული რესურსია საქართველოსთვის, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლაში; შესაბამისად, მას უნდა მართავდნენ სათანადო უნარებისა და გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც ამჟამად ცოტანი არიან. იმავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს სადოქტორო საფეხურზე სპეციალისტების მომზადების საჭიროების შესრულებას, შესაბამისი აკადემიური კარიერისთვის ისე, რომ შენარჩუნდეს აკადემიური და კვლევითი საზოგადოების ზრდა ხელოვნების მენეჯმენტის სამეცნიერო სფეროში.
გამოკითხული დამსაქმებლები აცნობიერებენ კულტურის ინდუსტრიისადმი აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობას და გამოთქვამენ კმაყოფილებას თავიანთ ორგანიზაციებში დასაქმებული კურსდამთავრებულების კომპეტენციებისა და უნარებისადმი. ხელოვნების მენეჯმენტში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები შეძლებენ დასაქმებას აკადემიურ, სახელმწიფო და რეგიონულ კულტურულ ორგანიზაციებში, შეძლებენ სამეცნიერო პოზიციების დაკავებას მუზეუმებში ან გარე კონულტატებად/სპეციალისტებად მუშაობას. ამჟამად, დამსაქმებლები აღნიშნულ პროგრამასთან მრავალ სფეროში თანამშრომლობენ (კერძოდ პროგრამის მიმართულების განსაზღვრაში, სტუდენტების დასაქმებაში, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღებაში და სხვა), ასევე დაინტერესებულები არიან ხელი შეუწყონ პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

რამდენადაც პროგრამა ნიშას წარმოადგენს ბაზაზე, მასზე ჩარიცხვის კოეფიციენტს დაბალ დონეზე ინარჩუნებენ. ამჟამინდელი მოცულობის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ყოველწლიურად საშუალოდ ორი დოქტორანტის მიღებას. თუმცა, პროგრამის მზარდი რეკლამირების შედეგად, შესაძლოა მეტი კანდიდატის მოზიდვა მოხდეს ხელოვნებისა და სხვა დარგებიდან და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩარიცხვის დონე შენარჩუნდება, პროგრამას მეტი არჩევანი ექნება უკეთესი კანდიდატების ასაყვანად.

ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა ისაა, რომ იგი უნიკალურია ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის მართვის გუნდს გააზრებული აქვს, რომ პროგრამის განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოში მეცნიერების დარგის განვითარებასთან. თუმცა, პროგრამის განვითარებასთან ერთად, ყურადღება უნდა დაეთმოს დარგში მიმდინარე პროცესებს საერთაშორისო დონეზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის, რაც პრიორიტეტად სახელდება უნივერსიტეტის 2018-24წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

პროგრამის სწავლის შედეგები, მართალია ზოგადად, თავსებადია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან, გადმოცემულია ამომწურავად დეტალური ფორმით.

სწავლის შედეგების დიდი რაოდენობა (ერთად 27) მოიცავს ბევრ გამეორებას და არ მატებს პროგრამას არავითარ ღირებულებას. ყურადღება უნდა მიექცეს იმ სწავლის შედეგების ყოვლისმომცველობის ხაზგასმას, რომლებიც მიღწევადია კურსდამთავრებულების მიერ.

დაშვების პირობები მკაფიოა. პროგრამა ხელმძღვანელობს დოქტორანტი სტუდენტების მიღების აკადემიურად მკაცრი პროცესით. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კვლევითი ხასიათის ნაშრომი/სტატია, რომელიც ასახავს მათ სამეცნიერო ინტერესებს, ეს მას შემდეგ, რაც გაივლიან წინასწარ გასაუბრებას პოტენციურ ხელმძღვანელთან და წარადგენენ რეკომენდაციას პროგრამის ხელმძღვანელისგან. დაინტერესებულ აპლიკანტთა მხარდასაჭერად, პროგრამა მათ სთავაზობს, მიღებაზე განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე, წინასწარ კონსულტაციებს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 60 ECTS კრედიტიან სასწავლო კომპონენტს (სწავლის პირველ წელს) და 120 ECTS კრედიტიან სამეცნიერო კომპონენტს (სწავლის მე-2 და მე-3 წლებში), საქართველოსა და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას იმგვარად, რომ სტუდენტებმა კარგად მომზადებულებმა მიაღწიონ სადოქტორო პროგრამის კვლევით ეტაპს.

სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტი შეიმუშავებენ ინდივიდუალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც ჩატარდება კვლევა. კოლოკვიუმი სადოქტორო პროგრამაზე სწავლებისსავალდებულო ნაწილია, რომელიც სემესტრში ერთხელ მაინც ტარდება. დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტურის სტუდენტები ვალდებულები არიან გამოაქვეყნონ 3 სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. გადამწყვეტი მნიშნელობისაა, რომ პროგრამა აწესებდეს სტანდარტებს კანდიდატების სამეცნიერო ნაშრომების გამოცემისთვის. ამ მიმართულებით შესაძლებელია ისეთი საჩვენებელი ქმედებების განხორციელება, რომელიც მოიცავს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების მოთხოვნას, დიდი სამეცნიერო გავლენის მქონე კონკრეტული სამეცნიერო ჟურნალებისა და კონფერენციების სიის შემოღებას.

თითოეული კურსისთვის შემუშავდა საკმაოდ დეტალურად გაწერილი, კარგად ორგანიზებული საგანთა აღმწერები (სილაბუსები), რომლებიც შეიცავს კურსის ამოცანებს, განზრახულ სწავლის შედეგებს, სწავლის მეთოდებს, კვირის მასალებს, შესაბამის ლიტერატურასა და ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებსა და შეფასებას. კურიკულუმის გადახედვა ხდება პერიოდულად. სამომავლო გადახედვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კურიკულუმს პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
მხედველობაში უნდა იყოს მიღებული კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საგანზე, ისე რომ ხაზი გაესვას პოლიტიკის შექმნას ხელოვნების მენეჯმენტის სფეროში, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე და არა მხოლოდ წვრილ სამართლებრივ ასპექტებზე, ეს გადმოცემის მეთოდებს აიყვანს სადოქტორო დონემდე. კვლევის მეთოდოლოგია ძლიერად ამახვილებს ყურადღებას თეორიულ კვლევით მიდგომებზე. მხედველობაში უნდა მიიღოთ, მენეჯმენტის შინაარსში კვლევის მეთოდების სფეროს გაძლიერებაზე (მაგალითად, ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები, შემთხვევის ანალიზი, ერთობლივი კვლევა). და ბოლოს, სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურა უნდა გადაიხედოს რეგულარულად, რადგან

ზოგიერთ შემთხვევებში ისინი მოძველებულია.

სწავლების პროცესში, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ააგონ თავიანთი კვლევა და განავითარონ პრაქტიკული უნარები. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კონფერენციებს სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის და აქტიურად უწყობს ხელს თავისი სტუდენტების კვლევით საქმიანობას, უზრუნველყოფს რა მათ ფინანსური მხარდაჭერით, რათა მათ თავიანთი ნაშრომები წარადგინონ სამეცნიერო კონფერენციებზე. დასრულებული და პოტენციური საკვლევი თემების სია აჩვენებს პროგრამის ორიენტირებას გამოყენებითი კვლევის მიმართულებით და აძლევს სტუდენტებს საშუალებას განავითარონ პრაქტიკული უნარები შესაბამის სფეროებში. პროგრამის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ რამდენიმე პროექტში, კულტურული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მკაფიოდაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/კონცეფციაში. მეთოდები არჩეულია დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. დოქტორანტთა შეფასების სისტემა ეყრდნობა სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მიღებული ცოდნის უწყვეტ შეფასებას. დისერტაციების შეფასება ხდება 11 წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმის მიხედვით. სადისერტაციო კომიტეტი მოიცავს გარე შემფასებლებს, რომელთა დაფინანსება ჩადებულია პროგრამის ბიუჯეტში. საერთო ჯამში, შეფასების პროცესი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტისათვის სრულიად გამჭვირვალეა.

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დისერტაციების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა გვაჩვენა, რომ სტუდენტები იღებენ საკმარის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სადოქტორო სწავლების პროცესში. ყველა დოქტორანტი სარგებლობს პირისპირ მიდგომით, ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი თანა-ხელმძღვანელი, რომელსაც გაჩნია დისერტაციის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელები აქვთ ძლიერი აკადემიური სამუშაო გამოცდილება ისევე, როგორც პროფესიული გამოცდილება ხელოვნების მენეჯმენტში, აღნიშნულ დარგში ისინი დიდი ხანია რაც აქტიურად მოღვაწეობენ.

საგანმანათლებლო პროცესთან, პროგრამებთან და აქტივობებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დოქტორანტურის სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ხელმძღვანელები მათ ეხმარებიან და მათთან კონსულტაციები ადვილად ხელმისაწვდომია. საკონსულტაციო საათები ცხადდება და ცნობილია სტუდენტებისთვის. დოქტორანტებს სწავლების დროს აქვთ შესაძლებლობები ჩაერთონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში, კონფერენციებში, ფესტივალებში, ასევე მონაწილეობა მიიღონ და ორგანიზება გაუწიონ ზოგიერთ ამ აქტივობას. ამასთან ერთად, შესაბამისი დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომით (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სხვა ტრენინგები და ა.შ.). თუმცა, საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერება დაეხმარება ამ კონკრეტული პროგრამის გაძლიერებას, გახდის მას უფრო მიმზიდველსა და წარმატებულს. სამომავლოდ, ამ პროგრამისთვის გარკვეული გამოწვევები იქნება მდიდარი გამოცდილების მქონე უცხოელი

მკვლევარების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში ან დოქტორანტების გაგზავნა საზღვარგარეთ, გაცვლით კურსებზე დასასწრებად, ერთობლივ კვლევით პროგრამებზე მუშაობა, გაზრდის დამატებითი დაფინანსების მოპოვების შანსებს ამ მიზნებისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის პროფესორია, რომელსაც შესანიშნავი აკადემიური ცოდნა და პროფესიული გამოცდილება აქვს, იგი დიდი ხანია რაც ჩართულია დოქტორანტებისთვის რჩევების გაწევის პროცესში. იგი ძლიერი ლიდერია, აქვს ნათელი წარმოდგენა პროგრამის მიზნებზე, მის გამოწვევებსა და სამომავლო განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტებზე.პროგრამის ერთ-ერთი უპირატესობაა მისი განმახორციელებელი გუნდის შეთანხმებული მუშაობა. ეს გუნდი შედგება 4 აკადემიური და 3 მოწვეული თანამშრომლისგან. საერთო ჯამში, პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ ძლიერი - ზოგიერთ შემთხვევაში გამორჩეული - აკადემიური და პროფესიული გამოცდილება თავიანთ სფეროში. პროგრამის განვითარებასთან ერთად საჭიროა ახალი პერსონალით გამდიდრება, ისეთით, რომელიც მეტად ორიენტირებულია ხელოვნების მენეჯმენტის დარგში და უფრო აქტიურია კვლევებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით. აკადემიური პერსონალისგან მოსალოდნელია კვლევითი აქტივობების ზრდა, განსაკუთრებით კი ინგლისურენოვან საერთაშორისო ჟურნალებში, ასევე მუშაობა საზოგადოებრივ პარტნიორებთან პროგრამისთვის თემატური დღის წესრიგის შემუშავების მიზნით. აკადემიური პერსონალის განვითარების მონიტორინგი წლიური აქტივობების და სხვადასხვა აქტივობებისთვის გამოყოფილი დროებით წარმოდგენილი სამუშაო გეგმების ანგარიშების ჩაბარებით ხდება. მათი შეფასება ხორციელდება რეგულარული გამოკითხვების საშუალებით, რომელსაც აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სამეცნიერო შრომებზე ინდივიდუალური ანგარიშების წარმოდგენის მეშვეობით.

პროგრამა ხორციელდება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში, ეს უნივერსიტეტი ტრადიციულად უზრუნველყოფს განათლებას ხელოვნების დარგში. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, IT სისტემები, მათ შორის ელექტრონული რესურსები) საკმარისია პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ფინანსური რესურსები (და მთლიანად უნივერსიტეტის) მოდის სახელმწიფო დაფინანსებიდან, უმეტესად განათლების სამინისტროდან, დამატებით ფინანსებს კი TAFU-სთვის უზრუნველყოფს კულტურის სამინისტრო. ეს უკანასკნელი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ საუკეთესო სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდისას ფინანსური დახმარებისთვის მანამ, სანამ ისინი შეინარჩუნებენ სტიპენდიას აკადემიური მოსწრების საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშს პირდაპირ რექტორს აბარებს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის ფაკულტეტების ოფისები პასუხისმგებლები არიან თითოეულ ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მუშაობასა და კოორდინირებაში, მჭიდრონ თანამშრომლობენ რა ფაკულტეტის საბჭოებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ფილოსოფია ისაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უწყვეტად ვითარდება „შიდა შეფასებისა და აკრედიტაციის პროცესის“ მიდგომით. ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურები ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს და მუშაობს ეფექტურად. გარე განხილვის შედეგები მხედველობაშია მიღებული განხილვისას და უკვე დაწყებულია აქტივობები მათი გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის პერიოდული გადახედვა ხდება ყოველწლიურად.

- **რეკომენდაციები**

უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამის შესაბამის დონეზე. შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება.

უნდა გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები ა) იმ სფეროში, რომელიც ეხება კურსდამთავრებულთა უნარს შეძლონ საერთაშორისო გარემოში ფუნქციონირება და ბ) იმ უნარების ასახვაში, რომელსაც პროგრამა ავითარებს კურსდამთავრებულებში, რათა მოამზადოს ისინი აკადემიური კარიერისთვის.

გააუმჯობესეთ სილაბუსები შემდეგის გათვალისწინებით:

- შეამცირეთ ის კონტენტი, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო ინფორმაციას ეხება და არ აქვს სამეცნიერო შემოქმედებითი კომპონენტი და ყურადღება დაუთმეთ პოლიტიკის ჩამოყალიბებას, სადოქტორო დონეზე ამ მიმართულების კურსების გაუმჯობესებით.
- გააუმჯობესეთ*"კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის"* საგანი, ისე რომ იგი მოიცავდს კვლევისთვის მეტად შესაფერის მეთოდოლოგიებს მენეჯმენტის დარგში და ასევე თან დაურთეთ შესაბამისი სახელმძღვანელოები.
- გადახედეთ აქტივობას -*",უცხოური ლიტერატურის რელევანტური თარგმანის წარდგენა კვლევითი თემის ფარგლებში ან მოცემული ლიტერატურის განხილვა"*, რათა დარწმუნდეთ, რომ სტუდენტები უზრუნველყოფენ ნათარგმნი ნაშრომების კრიტიკულ განხილვას ან კრიტიკულ ანგარიშს და შესაბამისად შეცვალეთ პროგრამის მახასიათებლები.
- გადახედეთ სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას თითოეულ საგანში და განაახლეთ იგი. სახელმძღვანელოებთან ერთად, ლიტერატურა გაამდიდრეთ სამეცნიერო სტატიებით.

პროგრამა უნდა მოითხოვდეს კანდიდატების მხრიდან ზოგიერთი ნაშრომის გამოქვეყნებას ინგლისურ ენაზე და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალების სიის დადგენას, რომლებშიც სტუდენტებმა უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები

პროგრამაში ჩართული სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო აქტივობების გაზრდის მიზნით, წაახალისეთ და გადაამზადეთ ისინი.

გაზარდეთ აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და

მისი პერსონალისათვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.

გაზარდეთ იმ სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა და დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებულია ხელოვნების მენეჯმენტის დარგზე და მიზნად ისახავს ამ დარგის ზოგად განვითარებას ისე, რომ მეტი აღიარება მოუპოვოს პროგრამას.
პერიოდული განხილვა უნდა მოიცავდეს თითოეული კურსის სილაბუსების დეტალურ განხილვას, მათ შორის ლიტერატურის განახლებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოში სამეცნიერო სფეროს განვითარებაა, უნდა გაძლიერდეს და ოფიციალური სახე მიეცეს თანამშრომლობას საზოგადოებრივ პარტნიორებთან. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს (მაგ.: საერთო ინტერესების სფეროს კვლევის განვითარებას). იფიქრეთ საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით სათათბირო ჯგუფის შექმნაზე (აკადემიკოსები, თანამშრომლები, კურსდამთავრებულები), რომელიც წვლილს შეიტანს სტრატეგიული მიზნებისა და პროგრამის მიმართულებების განსაზღვრაში.

გააძლიერეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის უპირატესობების გამოყენებით: პრესტიჟული დაწესებულების მიერ უნიკალური პროგრამის შეთავაზება, საქართველოში კულტურულ ორგანიზაციებთან კავშირი, მიზანდასახული ლიდერები, მოქნილობა და ეფექტურობა. შეიმუშავეთ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა სპეციალური აქტივობებითა და სამიზნეებით. გამოიყენეთ ხელთარსებული შესაძლებლობები ევროკავშირისა და სხვა დამფინანსებელი პროგრამების მხრიდან ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განვითარებისთვის, სამეცნიერო ღონისძებებისთვის და გაცვლითი პროგრამებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ პროგრამის საერთაშორისო პროფილის გაუმჯობესება და სტუდენტებისა და პერსონალისთვის სარგებლის მოტანა.
უნდა გაიზარდოს პროგრამის რეკლამირება, რათა მოიზიდოთ მეტი კანდიდატები ხელოვნებისა და სხვა დარგებიდან, შესაბამისად პროგრამას ექნება უფრო დიდი არჩევანი საუკეთესო კანდიდატების შერჩევისას.

პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო დისციპლინების სია უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცავდეს ხელოვნების მაგისტრებს.

რამდენადაც ჩარიცხულ დოქტორანტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო წარსული და გამოცდილება აქვთ, სასურველია პროგრამა იყოს მეტად მოქნილი, რათა დააკმაყოფილოს სტუდენტების საჭიროებები და გაზარდოს მათი განვითარება იმ ასპექტებში, რომლებშიც ისინი გაძლიერებას საჭიროებენ.
შეამოწმეთ სილაბუსსა და პროგრამის აღწერას შორის ინფორმაციის თანმიმდევრულობა, რამდენადაც ამ ორ დოკუმენტში რამდენიმე შეუსაბამობა შეინიშნა.

უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს დოქტორანტების აკადემიური მოსწრების სტანდარტების ამაღლება ეროვნული რეგულაციების მიერ მოთხოვნილზე მეტად, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ზოგადად მინიმალურ დასაშვებ მოსწრებას მაშინ, როდესაც დოქტორანტები უნდა მიისწრაფოდენ სრულყოფილებისაკენ.

განაგრძეთ მხარდაჭერა და განავითარეთ ფინანსების მოზიდვა დოქტორანტურის სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და კვლევითი კურსებისთვის. უზრუნველყავით დამატებითი შესაძლებლობები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში მუდმივად მონაწილეობის მისაღებად.

მოიწვიეთ უცხოელი მკვლევარები დოქტორანტებისათვის საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გადასაცემად. გამოიყენეთ ევროკავშირის დაფინანსების შესაძლებლობები პერსონალის გაცვლის თვალსაზრისით.

პროგრამისთვის თემატური საკვლევი დღის წესრიგის შემუშავების მიზნით, იმუშავეთ საზოგადოებრივ პარტნიორებთან.

გამოიყენეთ დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები ევროკავშირის სხვადასხვა ან სხვა საერთაშორისო პროგრამებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ კულტურის სფეროში განათლებისა და კვლევის მხარდაჭერას. ინტერნაციონალიზაციის გაზრდა დაეხმარება პარტნიორებს შეიმუშაონ გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნობრივ აქტივობებს პროგრამისათვის დამატებითი ფინანსირების მოსაპოვებლად (ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სტუდენტებისთვის სხვა ქართულ უნივერსიტეტებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სამხატვრო აკადემია) სადოქტორო კურსების (არჩევითების ფარგლებში) გავლის შესაძლებლობის მიცემა. მომავალში შესაძლებელია ამ პრაქტიკის გაფართოება ისე, რომ მოიცავდეს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებს.

პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ იგი ორიენტირებულია მომავალი პროფესიონალი აკადემიური პერსონალის მომზადებაზე ამ კონკრეტული სადოქტორო პროგრამისთვის და აძლევს ამჟამინდელ დოქტორანტებს შესაძლებლობას განაგრძონ მათი აკადემიური საქმიანობა პროგრამის ფარგლებში.

უნივერსიტეტის ძალისხმევა უზრუნველყოს ფინანსური დახმარება, რაც შეიძლება მეტი სტუდენტისთვის, გააზრებული აქვს რა ის ფაქტი, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ შეუძლია სწავლის საფასურის გადახდა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ სიღრმისეულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კულტურის სფეროს მენეჯმენტში. ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტი, პროგრამის ადმინისტრირების ჯგუფები და დამსაქმებელთა წარმომადგენლები კულტურული ორგანიზაციებიდან (მაგ.: მუზეუმები) იზიარებენ საერთო ხედვას, რომ კულტურა ნამდვილად მნიშნელოვანი, მაღალი ფასეულობის მქონე ეროვნული რესურსია საქართველოსთვის, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლაში; შესაბამისად, მას უნდა მართავდნენ სათანადო უნარებისა და გამოცდილების მქონე პირები, რომლებიც ამჟამად ცოტანი არიან, რადგან წლების განმავლობაში არსებობდა ტენდენცია, რომ პროფესიონალი მენეჯერები საჭირო იყვნენ კულტურული დაწესებულებების სამართავად. იმავდროულად, პროგრამა მიზნად ისახავს სადოქტორო საფეხურზე სპეციალისტების მომზადების საჭიროების შესრულებას, შესაბამისი აკადემიური კარიერისთვის ისე, რომ შენარჩუნდეს აკადემიური და კვლევითი საზოგადოების ზრდა ხელოვნების მენეჯმენტის სამეცნიერო სფეროში. პროგრამის ამოცანები ასახულია შესაბამის კომპეტენციებში, რომელთაც პროგრამა მიზნად ისახავს, რომ განავითაროს დოქტორანტებში, ესენია: ხელოვნების მენეჯმენტის დარგში შემოქმედებითი იდეების გენერირების და შესრულების უნარები, სპეციალისტების დარწმუნების უნარები, პირველ რიგში ინოვაციური იდეების პროგრესულობაში, სამეცნიერო კვლევების ჩატარების უნარები, დარგში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ადეკვატურად შეფასების უნარები, სწორი სამეცნიერო დასკვნების გამოტანის უნარები. გამოკითხული დამსაქმებლები აცნობიერებენ კულტურის ინდუსტრიისადმი აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობას და გამოთქვამენ კმაყოფილებას თავიანთ ორგანიზაციებში დასაქმებული კურსდამთავრებულების კომპეტენციებისა და უნარებისადმი. მათ თანახმად, რეგიონულ კულტურულ ორგანიზაციებში არსებობს ხელოვნების მენეჯმენტის სპეციალისტების საჭიროება, ასევე მუზეუმებში, რათა მათ დაიკავონ სამეცნიერო პოზიციები ან იმუშაონ გარე კონსულტანტებად/სპეციალისტებად. ამჟამად, დამსაქმებლები თანამშრომლობენ პროგრამასთან ბევრ სფეროში (მაგ. პროგრამის მიმართულების განსაზღვრაში, სტუდენტთა დასაქმებაში, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებაში იღებენ მონაწილეობას და სხვა). დამსაქმებლებთან დისკუსიამ გამოავლინა მათი ინტერესი პროგრამის განუწყვეტელი სრულყოფისა და უწყვეტი თანამშრომლობისადმი. რამდენადაც პროგრამა ნიშას წარმოადგენს ბაზარზე, მასზე ჩარიცხვის კოეფიციენტს დაბალ დონეზე ინარჩუნებენ. ამჟამინდელი მოცულობის გათვალისწინებით, პროგრამის

ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ყოველწლიურად საშუალოდ ორი დოქტორანტის მიღებას. თუმცა, პროგრამის მზარდი რეკლამირების შედეგად, შესაძლოა მეტი კანდიდატის მოზიდვა მოხდეს ხელოვნებისა და სხვა დარგებიდან და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩარიცხვის დონე შენარჩუნდება, პროგრამას მეტი არჩევანი ექნება უკეთესი კანდიდატების ასაყვანად. პროგრამის ყველა კურსდამთავრებული ამჟამად დასაქმებულია რელევანტურ ორგანიზაციებსა და

აკადემიურ სფეროში ისეთ პოზიციებზე, რომლებიც შეესაბამება მათ კვალიფიკაციებს.

ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა ისაა, რომ იგი უნიკალურია ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის მართვის გუნდს გააზრებული აქვს, რომ პროგრამის განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოში მეცნიერების დარგის განვითარებასთან. მათი თავდაპირველი მოკვლევის თანახმად, მსგავსი პროგრამები არსებობს აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში, თუმცა მათ აქვთ განსხვავებული ორიენტირები, რომლებიც მორგებულია მათ ქვეყნებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. პროგრამის განვითარებასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს დარგის საერთაშორისო დონეზე განვითარებაზე ორი მიზეზის გამო: ა) გლობალური ტენდენციები გავლენას ახდენენ ეროვნულ დონეზე განვითარებაზე და ბ) კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და უნარიანები, რათა იმოქმედონ და იმუშაონ საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა უნივერსიტეტისთვის, რაც პრიორიტეტად სახელდება უნივერსიტეტის 2018-24წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაში. პროგრამამ უკვე მიიღო რამდენიმე ინიციატივა ხელოვნების მენეჯმენტში საერთაშორისო ასოციაციებთან კავშირების დასამყარებლად ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცხადია, ასეთი თანამშრომლობის დანერგვა და განვითარება შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან უნდა იქცეს პროგრამის უმთავრეს სტრატეგიულ პრიორიტეტად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *თვითშეფასების ანგარიში;*
- *უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააძლიერეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის უპირატესობების გამოყენებით: პრესტიჟული დაწესებულების მიერ უნიკალური პროგრამის შეთავაზება, საქართველოში კულტურულ ორგანიზაციებთან კავშირი, მიზანდასახული ლიდერები, მოქნილობა და ეფექტურობა. შეიმუშავეთ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმა სპეციალური აქტივობებითა და სამიზნეებით. გამოიყენეთ ხელთარსებული შესაძლებლობები ევროკავშირისა და სხვა დამფინანსებელი პროგრამების მხრიდან ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განვითარებისთვის, სამეცნიერო ღონისძებებისთვის და გაცვლითი პროგრამებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ პროგრამის

საერთაშორისო პროფილის გაუმჯობესება და სტუდენტებისა და პერსონალისთვის სარგებლის მოტანა. ○ რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოში სამეცნიერო სფეროს განვითარებაა, უნდა გაძლიერდეს და ოფიციალური სახე მიეცეს თანამშრომლობას საზოგადოებრივ პარტნიორებთან. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს (მაგ.: საერთო ინტერესების სფეროს კვლევის განვითარებას). იფიქრეთ საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით სათათბირო ჯგუფის შექმნაზე (აკადემიკოსები, თანამშრომლები, კურსდამთავრებულები), რომელიც წვლილს შეიტანს სტრატეგიული მიზნებისა და პროგრამის მიმართულებების განსაზღვრაში. ○ უნდა გაიზარდოს პროგრამის რეკლამირება, რათა მოიზიდოთ მეტი კანდიდატები ხელოვნებისა და სხვა დარგებიდან, შესაბამისად პროგრამას ექნება უფრო დიდი არჩევანი საუკეთესო კანდიდატების შერჩევისას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად თავსებადია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან, რომლებიც მომდინარეობენ პროგრამის უნივერსიტეტისეული ხედვიდან. თუმცა, პროგრამის ამოცანების ქართული კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით აღწერამ ამ ეტაპზე, სწავლის შედეგების ძალიან დიდი რაოდენობის არსებობა გამოიწვია (27 საერთო ჯამში), რომლებიც გადმოცემულია ამომწურავად დეტალური ფორმით, მოიცავს ბევრ გამეორებას და არ მატებს პროგრამას არავითარ ღირებულებას.

მაგალითად, „ცოდნისა და გაცნობიერების“ ქვეშ მოქცეული ოთხივე სწავლის შედეგი შესაძლოა გაერთიანდეს, როგორც *“კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სიღრმისეულად გაიაზრონ დარგში არსებული მიღწევები, სიახლეები, მიმდინარე პრაქტიკები და გამოწვევები (ხელოვნების მდგომარეობა), რაც ახალი, ორიგინალური იდეების გენერირებას შესაძლებელს ხდის და აყალიბებს შემოქმედებით მიდგომას სხვადასხვა სიტუაციებისადმი“.* ანალოგიური ცვლილებების შეტანა შეიძლება სწავლის შედეგების სხვა კატეგორიებშიც.

რადგან ეს სადოქტორო პროგრამაა, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება სწორ დონეზე ძალიან მნიშნელოვანია. გამოთქმები, როგორებიცაა *ჩვეულებრივი ცოდნა, ფუნდამენტალური ცოდნა, იცნობს* უნდა ავირიდოთ თავიდან, რადგან ისინი აღწერენ ცოდნის უფრო ქვედა დონეებს. შესაბამისად, ამ დონის სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგნები უნდა განახლდეს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პროგრამის სწავლის ყველა შედეგი მიღწევადი იყოს კურსდამთავრებულებისთვის. მაგალითად, კომუნიკაციის უნარის კატეგორიის სწავლის შედეგები, შესაბამისად მოითხოვენ, რომ კურსდამთავრებულებს *„შეეძლოთ დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიური საზოგადოებისა და სპეციალისტებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე“.* თუმცა, გამოკითხული სტუდენტებიდან არცერს არ გამოუქვეყნებია ნაშრომი უცხო ენაზე - მხოლოდ აბსტრაქტები, რამდენადაც შესაბამისი მოთხოვნა არ არსებობს კურსის დასამთავრებლად.

საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, სწავლის შედეგები უნდა შემოიფარგლებოდეს 10-12-ით (სადოქტორო პროგრამებში კიდევ უფრო მეტად, რადგან მე-3 ციკლის პროგრამები უფრო ფოკუსირებულია) და ხაზს უსვამდეს **ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებს,** რომელთა მიღწევის დადასტურებაც შესაძლებელია. მაგალითად, კურსდამთავრებულების უნარი იმუშაონ საერთაშორისო კულტურულ გარემოში და შეასრულონ ცოდნის გადაცემის ფუნქცია, როგორც მომავალმა აკადემიურმა პერსონალმა, გამომხატულად არ სახელდება პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებში.

კურიკულუმის რუკა გვიჩვენებს თითოეული პროგრამის კომპონენტის წვლილს (ძლიერს/საშუალოს/სუსტს) სწავლის შედეგების მთავარი კატეგორიებისადმი (ცოდნა/უნარები/სხვა). პროგრამის სწავლის შედეგების რაციონალიზაცია კონკრეტული სწავლის შედეგებისადმი კომპონენტების მეფინგის შესაძლებლობას შექმნის.

პროგრამის სწავლის შედეგები განხილულ იქნა სტუდენტებისა და პერსონალისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. რამდენიმე საუნივერსიტეტო რეგულაცია მიუთითებს შიდა შეფასების აქტივობებზე, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე პროგრამის მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან და სტუდენტებთან დისკუსიიდან გამოჩნდა, რომ რამდენიმე ცვლილება შევიდა კურიკულუმში პროგრამის წინა აკრედიტაციის შემდეგ (მაგალითად დაემატა ისეთი კურსები, როგორიცაა *კულტურის დარგის საკანონმდებლო საფუძველი*), პროგრამის სწავლის შედეგებთან თანმიმდევრულობის მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *თვითშეფასების ანგარიში;*
- *პროგრამის სილაბუსები*

- *ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები*
- *დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტების გამოკითხვებისა და დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების შედეგები.*
- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*

რეკომენდაციები:

○ უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამის შესაბამის დონეზე. შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება.

- ○ უნდა გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები: ა) იმ სფეროში, რომელიც ეხება კურსდამთავრებულთა უნარს შეძლონ საერთაშორისო გარემოში ფუნქციონირება და ბ) იმ უნარების ასახვაში, რომელსაც პროგრამა ავითარებს კურსდამთავრებულებში, რათა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ გაითვალისწინებთ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე გამოცემული შესაბამისი პუბლიკაციები. შესაბამისად:
  - - EU-პროგრამის სწავლის შედეგები: http://ec.europa.eu/education/ects/users-guide/learning-outcomes_en.htm
  - მონტანას უნივერსიტეტის სახელმძღვანელო პროგრამის სწავლის შედეგების შესამუშავებლად https://www.montana.edu/provost/documents/assessment/002%20Developing%20Program%20Learning%20Outcomes.pdf
  - საუნივერსიტეტო სწავლების, სწავლისა და შეფასების ცენტრი, დასავლეთ ფლორიდის უნივერსიტეტი https://uwf.edu/media/university-of-west-florida/offices/cutla/documents/Writing-Graduate- Level-Learning-Outcomes(2018).pdf არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხელმძღვანელობს დოქტორანტი სტუდენტების მიღების აკადემიურად მკაცრი პროცესით. ამჟამინდელი მოცულობის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების სამიზნეს წარმოადგენს 3-4 სტუდენტის მიღება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. დაშვების პირობები მკაფიოა. პროგრამაზე დასაშვებად კანტიდატები უნდა ფლობდნენ მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ხელოვნების მენეჯმენტის, სოციალური მეცნიერებების, პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების, სამართლის დარგებში. ფაკულტეტის კომისია განიხილავს კანდიდატების დაშვების სისწორეს სხვა მიმართულებებიდან, ინდივიდუალური საქმის განხილვის საფუძელზე, კანდიდატის საერთო პროფილზე დაყრდნობით. რამდენადაც ეს არის სადოქტორო პროგრამა ხელოვნების მენეჯმენტში, ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები ასევე უნდა იყვნენ მითითებული დაშვების კრიტერიუმებში; მითუმეტეს, რომ ხელოვნების მაგისტრები უკვე

ჩარიცხულები არიან პროგრამაზე.

აპლიკანტებს მოეთხოვებათ ერთი უცხოური ენის ცოდნა მაინც (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული, ან ნებისმიერი სხვა ენა კვლევის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე) მინიმუმ B2 დონეზე, რასაც უნივერსიტეტი ამოწმებს შესაბამის ენაში გამოცდის ჩატარებით ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ფლობით.

პოტენციურ ხელმძღვანელთან წინასწარი გასაუბრების გავლის შემდეგ, დოქტორანტურის პროგრამაზე აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ კვლევითი ხასიათის ნაშრომი/სტატია, რომელიც ასახავს მისი თემისათვის შესაბამის სამეცნიერო ინტერესებს

და ასევე წარადგინოს რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის/მოდულის ხელმძღვანელისგან სათანადო დასაბუთებით. დაინტერესებულ აპლიკანტთა მხარდასაჭერად, პროგრამა მათ სთავაზობს ,მიღებაზე განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე, წინასწარ კონსულტაციებს.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ქულების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავს კომისიასთან კანდიდატის გასაუბრების შედეგებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *თვითშეფასების ანგარიში;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო დისციპლინების სია უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცავდეს ხელოვნების მაგისტრებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავდა სამივე საფეხურზე პროგრამების შიდა დამტკიცების შესახებ TAFU-ს რეგულაციების საფუძველზე, რაც დეტალურად აკონკრეტებს დაგეგმვის, შექმნისა და შემუშავების პროცესს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, სასწავლო გეგმას, სწავლების მახასიათებლებზე მითითებას, ECTS დატვირთვას.
პროგრამის განვითარებაში წვლილი შევიდა აკადემიურ პერსონალის მხრიდან კულტურულ ორგანიზაციებთან უწყვეტი ინტერაქციით და მუზეუმების წარმომადგენლებთან გამართული მრავალი შეხვედრით.
პროგრამა თავსებადია საქართველოს უმაღლესი განათლების სტანდარტებთან და მოიცავს 180 ECTS კრედიტიან დატვირთვას, რომელიც განაწილებულია სამ წელიწადზე. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 60 ECTS კრედიტიან სასწავლო კპომპონენტს (სწავლის 1 წელს) და 120 ECTS კრედიტიან სამეცნიერო კომპონენტს (სწავლის მე-2 და მე-3 წლებში).

პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას იმგვარად, რომ სტუდენტებმა კარგად მომზადებულებმა მიაღწიონ სადოქტორო პროგრამის კვლევით ეტაპს.

სტუდენტები სწავლებას იწყებენ ზოგადი კურსების გავლით, რომელთა მიზანია: ა) კულტურული მენეჯმენტის დარგში ხელოვნების მდგომარეობის გაცნობით, კულტურულ მენეჯმენტში პრობლემების ამოცნობის სისტემატური ხედვის ფორმულირების მიზნით სტუდენტებისთვის შესავალის გაკეთება და ახალი შემოქმედებითი იდეების გენერირება, ბ) სასწავლო უნარების განვითარება (პედაგოგიკა და განათლების ფსიქოლოგია) და სტუდენტების მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, აკადემიური პერსონალისთვის ასისტენტობის გაწევის გზით, გ) დოქტორანტურის სტუდენტების გადმოცემის უნარების განვითარება, როგორებიცაა კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები.

სწავლის კომპონენტისას, სტუდენტებს ასევე გააცნობენ კვლევის მეთოდოლოგიას და მოუწევთ აკადემიური წერის მოდულის გავლა (თუკი ეს კურსი მანამდე არ აქვთ გავლილი), იმუშავებენ სპეციალიზებულ სემინარზე, რომელიც შეეხება მათ სადისერტაციო სფეროს და გაივლიან სადოქტორო დონის ორ არჩევით კურსს, რომელთაც მათ ფაკულტეტი ან სხვა ფაკულტეტები ან

თუნდაც სხვა უნივერსიტეტები სთავაზობენ (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია).

მეორე მოდული (120 კრედიტი, სემესტრები 3-6), რომელიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციის შემუშავებასა და დაცვას, სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ სტუდენტი პროგრესულად გადის გარკვეულ საფეხურებს სპეციალური აქტივობებით, (მაგალითად, კოლოკვიუმებზე დაფუძნებული სემესტრი, წინასწარგანსაზღვრული თარიღებით) სანამ მიაღწევს მისი კვლევითი სამუშაოს საბოლოო წერტილს.

სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტი შეიმუშავებენ ინდივიდუალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც ვითარდება კვლევა. კოლოკვიუმი სადოქტორო პროგრამაზე სწავლების სავალდებულო ნაწილია, რომელიც სემესტრში ერთხელ მაინც ტარდება (გამონაკლისია პირველი სემესტრი) კულტურის დარგში მენეჯმენტის მიმართულებით და განიხილება დარგის შესაბამისად (ამ კონკრეტულ დარგში სპეციალიზებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ). კოლოკვიუმების დროს, დისკუსიებთან ერთად იმართება დოქტორანტების მიერ შესრულებული სამუშაოების პრეზენტაცია, თემასთან დაკავშირებული ახალი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, დოქტორანტის წლიური ნაშრომის პრეზენტაცია და მისი განხილვა.

დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტურის სტუდენტები ვალდებულები არიან გამოაქვეყნონ 3 სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. სამეცნიერო ჟურნალების საჩვენებელი სია წარმოდგენილია პროგრამის აღწერაში, რომელიც მოიცავს ძირითადად ქართულ ჟურნალებს. გამოკითხულ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინგლისურენოვანი გამოცემები - მხოლოდ აბსტრაქტები აქვთ გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთაკონკურენტუნარიანობა, რომლის მიზანია ახალ მკვლევართა გენერირება, როგორც წესი იზომება მათი წვლილით ახალი ცოდნის შექმნაში, გამოყენებასა და გადაცემაში. ამ თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა განსაზღვრავდეს მისი სამეცნიერო მოდულის განმავლობაში კანდიდატების სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების სტანდარტებს. საჩვენებელი აქტივობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ამ მიმართულებით, მოიცავს მოთხოვნას, რომ დოქტორანტურის სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ნაწილი იყოს ინგლისურ ენაზე, ასევე დაინერგოს კონკრეტული სამეცნიერო ჟურნალებისა და კონფერენციების სია, რომელთაც პროგრამა დიდი გავლენის მქონედ მიიჩნევს და სადაც სტუდენტები შეძლებენ თავიანთი ნაშრომების გამოქვეყნებას და ა.შ.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლების ფორმატი წარმოადგენს დღის საათებში დასწრებას. ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტე ეძლევა დამეტებით 2 წლიანი პერიოდი კვლევის დასამთავრებლად.ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა რაციონალურია, აკადემიურად მკაცრი და საერთაშორისო სტანდარტებთან შეთავსებადი, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების გლუვ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დისკუსიამ დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის ეს მოსაზრება.

> მართალია პროგრამის სასწავლო კომპონენტი სტუდენტებისთვის მოქნილობას უზრუნველყოფს არჩევითი კურსების თვალსაზრისით, პროგრამის მენეჯმენტს შეუძლია მოიკვლიოს მეტი არჩევითი საგნების შეთავაზების საჭიროება, რათა მოიცვას მრავალფეროვანი პროფილის მქონე დოქტორანტები მათი სასწავლო და სამუშაო გამოცდილების კუთხით. მაგალითად, ინტერვიუს დროს, რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ ესაჭიროებათ ხელოვნებაში უფრო მეტი კურსის გავლა, სწავლების გამოცდილების მქონე სხვა სტუდენტებმა კი ისურვეს რომ პედაგოგიური პრაქტიკუმების ნაწილი შეიცვალოს სხვა არჩევითი კურსებით ხელოვნების მენეჯმენტში და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *თვითშეფასების ანგარიში;*
- *"საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ინსტრუქცია და პროცედურა"*
- *"სადოქტორო პროგრამის დაგეგმილი კვლევითი გეგმის სამეცნიერო კომპონენტი"*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ*
- *ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

პროგრამა უნდა მოითხოვდეს კანდიდატების მხრიდან ზოგიერთი ნაშრომის გამოქვეყნებას ინგლისურ ენაზე და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალების სიის დადგენას, რომლებშიც სტუდენტებმა უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რამდენადაც ჩარიცხულ დოქტორანტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო წარსული და გამოცდილება აქვთ, სასურველია პროგრამა იყოს მეტად მოქნილი, რათა დააკმაყოფილოს სტუდენტების საჭიროებები და გაზარდოს მათი განვითარება იმ ასპექტებში, რომლებშიც ისინი გაძლიერებას საჭიროებენ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტებისთვის სხვა ქართულ უნივერსიტეტებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სამხატვრო აკადემია) სადოქტორო კურსების (არჩევითების ფარგლებში) გავლის შესაძლებლობის მიცემა. მომავალში შესაძლებელია ამ პრაქტიკის გაფართოება ისე, რომ მოიცავდეს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული მოდულისათვის შემუშავებულია დეტალური, კარგად შედგენილი საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითოეული სილაბუსი მოიცავს: კურსის მიზნებს, განზრახულ სწავლის შედეგებს, სწავლების გამოყენებულ მეთოდებს სწავლის შედეგების მისაღწევად, კვირის შინაარსის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითოეული კომპონენტისათვის, ისევე, როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის მიღწევის დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს. კურსის სილაბუსებსა და პროგრამის არწერას შორის გარკვეული შეუსაბამობები დაფიქსირდა (მაგალითად, სახელმწიფო კულტურულ სისტემებს აქვს 10 კრედიტიანი დატვირთვა შესაბამის სილაბუსში, თუმცა მხოლოდ 5 კრედიტიანი დატვირთვა პროგრამის აღწერაში).

შესაბამისი სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის მითითებული სილაბუსებში საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 6 კრიტერიუმის შესაბამისად. უფრო მეტიც, პროგრამის აღწერის დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის რუკას, რომელიც აღნიშნავს პროგრამის თითოეული კომპონენტის წვლილს (ძლიერს/საშუალოს/სუსტს) პროგრამის სწავლის შედეგების ექვსივე ტიპისადმი (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები).

ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეეხება რამდენიმე კურსის შინაარს. კერძოდ:

- პროგრამა მოიცავს ძალიან დიდი ოდენობით საკანონმდებლო ინფორმაციას ორ საგანში *„კულტურის კანონმდებლობა“, „განათლების კანონმდებლობა“,* მათ არ აქვთ არანაირი სამეცნიერო, შემოქმედებითი კომპონენტი, განსაკუთრებით კი მეორე საგანს, რომელიც ძირითადად პრაქტიკული სახელმძღვანელოა განმანათლებლებისთვის და მისი სწავლება შეიძლება უკრედიტო კურსის სახით და ამგვარად ადგილის გამოთავისუფლება სამეცნიერო და შემოქმედებითი ტიპების კურსებისათვის. რაც შეეხება პირველ საგანს, ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიტიკის შექმნას ხელოვნების მენეჯმენტის სფეროში, არამხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. ამგვარად, გადმოცემის მეთოდების აყვანა შესაძლებელია დოქტორანტურის დონეზე (ძირითადად შემთხვევებზე და სტატიებზე, საერთაშორისო მოვლენებზე დაყრდნობით, ნაცვლად იმისა, რომ მისი დიდი ნაწილი ეფუძნებოდეს სამართლებრივ და მარეგულირებელ დოკუმენტებს, როგორც ეს ამჟამინდელ ბიბლიოგრაფიაშია ნაჩვენები).
- უნდა გაითვალისწინოთ, რომ კურსები *„კულტურის მენეჯმენტი“* და *„სახელმწიფო კულტურული სისტემები და კულტურული რესურსების მართვა* თემატურად გამიჯნული იყოს ერთმანეთისგან. მათ ბევრი იდენტური თემები აქვთ.
- *„კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას“* ძალიან ძლიერად აქვს ყურადღება გამახვილებული თეორიულ კვლევით მიდგომებზე, თუმცა მეტნკლებად სუსტია მენეჯმენტის კონტექსტში კვლევის მეთოდოლოგიების კუთხით (მაგალითად ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები, შემთხვევის ანალიზი, ერთობლივი კვლევა). განიხილეთ

კონტენტის განახლებისა და რელევანტური სახელმძღვანელოების დამატების შესაძლებლობა. - აქტივობა - *"უცხოური ლიტერატურის რელევანტური თარგმანის წარდგენა საკვლევი თემის ფარგლებში ან მოცემული ლიტერატურის განხილვა"*,როგორც ეს ჩამოთვლილია პროგრამის აღწერაში, უნდა შეიცვალოს. თუკი სტუდენტები უზრუნველყოფენ ნათარგნი ნაშრომის კრიტიკულ განხილვას ან შემოქმედებით ანგარიშს, მაშინ ეს აქტივობა მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მახასიათებლებში. - სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოიცავს საჭირო სახელმძღვანელოებს, დამატებით საკითხავ მასალას, წიგნებს, სამეცნიერო სტატიებს, ვებ-გვერდების მასალებს და ყოველი ლექციისთვის მითითებულია შესაბამისი წყაროები კონკრეტული თავებისთვის, მოცემულია სხვა წყაროებიც. თუმცა, ზოგიერთ საგანში, სავალდებულო და რეკომენდებული ლიტერატურა ძალიან ძველია (ზოგიერთი 2000 წლამდე თარიღდება) და საჭიროებს განახლებას, რათა ასახოს დარგში არსებული უახლესი მიღწევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *თვითშეფასების ანგარიში;* ○ *კურსის სილაბუსები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები: ○ გააუმჯობესეთ სილაბუსები შემდეგის გათვალისწინებით: - შეამცირეთ ის კონტენტი, რომელიც მხოლოდ საკანონმდებლო ინფორმაციას ეხება და არ აქვს სამეცნიერო შემოქმედებითი კომპონენტი და ყურადღება დაუთმეთ პოლიტიკის ჩამოყალიბებას, სადოქტორო დონეზე ამ მიმართულების კურსების გაუმჯობესებით. - გააუმჯობესეთ *"კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის"* საგანი, ისე რომ იგი მოიცავდს კვლევისთვის მეტად შესაფერის მეთოდოლოგიებს მენეჯმენტის დარგშუ და ასევე თან დაურთეთ შესაბამისი სახელმძღვანელოები - გადახედეთ აქტივობას - *",უცხოური ლიტერატურის რელევანტური თარგმანის წარდგენა კვლევითი თემის ფარგლებში ან მოცემული ლიტერატურის განხილვა"*, რათა დარწმუნდეთ, რომ სტუდენტები უზრუნველყოფენ ნათარგმნი ნაშრომების კრიტიკულ განხილვას ან კრიტიკულ ანგარიშს და შესაბამისად შეცვალეთ პროგრამის მახასიათებლები. - გადახედეთ სავალდებულო და რეკომენდებულ ლიტერატურას თითოეულ საგანში და განაახლეთ იგი. სახელმძღვანელოებთან ერთად, ლიტერატურა გაამდიდრეთ სამეცნიერო სტატიებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შეამოწმეთ სილაბუსსა და პროგრამის აღწერას შორის ინფორმაციის თანმიმდევრულობა, რამდენადაც ამ ორ დოკუმენტში რამდენიმე შეუსაბამობა შეინიშნა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების ჩართულობა კვლევაში ძირითადად წარმოებს მათი სადოქტორო დისერტაციის ჩარჩოებში.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველ წლიურად ატარებს კონფერენციებს სტუდენტებისთვის და მკვლევარებისთვის და ხელს უწყობს კვლევითი სამუშაოს გაზიარებას, სამეცნიერო დისკუსიებს, აზრთა და იდეების გაცვლას. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს მისი სტუდენტების კვლევით მუშაობას მათი ფინანსური დახმარების მეშვეობით სამეცნიერო კონფერენციებზე ნაშრომების პრეზენტაციისათვის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

პრაქტიკული უნარების განვითარება ძირითადად ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა მომვალ დასაქმებაზე აკადემიურ პერსონალად, ანალიტიკოსებად, კონსულტანტებად, სამეცნიერო ექსპერტებად ან მრჩევლებად კულტურულ ორგანიზაციებში და მოიცავს ცოდნის გადაცემის უნარებს, პედაგოგიურ უნარებს, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს.

პროგრამის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულები ყოფილიყვნენ 2025 წლის კულტურული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე რეგიონული კულტურული მართვის აქტივობებსა და უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში ან სხვაგან უნივერსიტეტის მონაწილეობით (მაგალითად იუნესკო, კავკასიის რეგიონული კონფერენცია და სხვა).

უნივერსიტეტი ეხმარება სტუდენტებს დაუკავშირდნენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აფინანსებენ კვლევებს, მაგალითად რუსთაველის ფონდი, და ასევე ეხმარება მოიძიონ

უცხოური დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. კანდიდატების პოტენციური საკვლევი თემების სია აჩვენებს პროგრამის ორიენტირებას გამოყენებითი კვლევის მიმართულებით და აძლევს სტუდენტებს საშუალებას განავითარონ პრაქტიკული უნარები შესაბამის სფეროებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *თვითშეფასების ანგარიში;* ○ *გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.* ○ *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან* ○ *პროგრამის პოტენციური კვლევის სფეროების/თემების ნუსხა*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მკაფიოდაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/კონცეფციაში. მეთოდი არჩეულია დონის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. რამდენადაც განსახილველი პროგრამა სადოქტორო პროგრამას წარმოადგენს, პრიორიტეტი ენიჭება ინტენსიურ სასემინარო სწავლებასა და პრაქტიკას-ასისტენტობას. სემინარზე დამყარებული სწავლება ეფუძნება ძირითადად მეთოდების ანალიზს, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, ხოლო ახსნა-განმარტების მეთოდი - საკითხის ირგვლივ მსჯელობას, კონკრეტული მაგალითის დეტალურ მიმოხილვას მოცემული თემის ფარგლებში. ასისტირების პროცესში დოქტორანტს ეძლევა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენებით. დედუქციური მიდგომა გამოიყენება საგნებში, რომლებშიც დოქტორანტი იძენს ახალ, სიღრმისეულ ცოდნას კონკრეტულ მიმართულებაში, სტუდენტების უკვე არსებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით. სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო ჯგუფური მუშაობა და ერთობლივი დავალებები ლიმიტირებულია. მთლიანი სასწავლო პროცესი კარგადა კონტროლდება ყოველკვირეულად კონკრეტული დავალებების, ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკულების და ა.შ. მეშვეობით. ყოველი სემესტრის დასასრულს, სტუდენტებს მოეთხოვებათ წარადგინონ კვლევა კონკრეტულ საკითხზე ან მასალა, რომელიც ასახავს მათი კვლევის ნაშრომის კონკრეტულ ეტაპს (კოლოკვიუმი). თავად კვლევის მეთოდოლოგია შეირჩევა კონკრეტულ საკვლევ თემაზე დაყრდნობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *კურსის სილაბუსები* ○ *აკადემიური პროცესის კოორდინირების რეგულაციები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. იგი ემყარება შეძენილი ცოდნის მუდმივი შეფასების პრინციპს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის გათვალისწინებით, სტუდენტების შეფასება ემყარება მათ დასწრებას მეცადინეობებზე და მოსწრებას სემესტრის განმავლობაში, რამდენიმე შუალედურ დავალებას და მათ შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს მთლიანი ქულის 60%-ს, დასკვნითი გამოცდა კი 40%-ს. შეფასებების სქემა ჩამოყალიბებულია საქართველოში უმაღლესი განათლების რეგულაციების შესაბამისად, რომლის თანახმადაც სტუდენტს ეთვლება ჩაბარებულად, თუკი ყველა მეთოდითა შეფასებით აგროვებს მთლიანი ქულების 50%-ზე მეტს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მოითხოვს, რომ სტუდენტმა მიიღოს 60-დან 21 ქულა შუალედურ შეფასებაზე რათა დაშვებულ იქნეს საბოლოო გამოცდაზე და მიაღწიოს ქულების არანაკლებ 50%-ს დასკვნით გამოცდაზე (20 ქულა 40-დან). სტუდენტებს, რომელთა საერთო შეფასება 41-50 ქულაა, ჩაჭრილები არიან, თუმცა მათ ეძლევათ კიდევ ერთი მცდელობა საგნის ჩაბარებისა, მაშინ, როცა 40 ქულის ან ნაკლების შემთხვევაში - მათ უწევთ კურსის ხელახლა გავლა. ეს სქემა ითვალისწინებს სტუდენტთა საერთო მოსწრებას, იგი გამჭვირვალეა - სპეციფიკა დეტალურადაა განმარტებული ყველა კურსის სილაბუსში, და შეესაბამება საქართველოში უმაღლესი განათლების რეგულაციებს. თუმცა, სადოქტორო პროგრამისათვის, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისაგან სრულყოფილებისადმი თავდადებას, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დადგენილი უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე ზოგადი რეგულაციებით გათვალისწინებული მინიმუმი.

მაგალითად, უფრომაღალი ბარიერი შუალედური შეფასებისათვის, გამოცდაზე განმეორებით გასვლის შეზღუდვა (FX), საშუალო ნიშნების შენაჩუნება მინიმუმ "კარგის" ან შესაძლოა "ძალიან კარგის" დონეზე, მიუთითებს კანდიდატებს და დაინტერესებულ მხარეებს, რომ პროგრამა იბრძვის სრულყოფილებისათვის. სამეცნიერო კომპონენტის შეფასება ხდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესში. თუმცა, დისერტაციის შემუშავება მიჰყვება კვლევის გეგმის კარგად გაწერილ განრიგს, რომელიც მოიცავს ყოველი წლის ბოლოს კონკრეტულ შედეგებს. დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტებს უნდა ჰქონდეთ გამოქვეყნებული 3 ნაშრომი საერთაშორისო ჟურნალში, არაა სავალდებულო უცხოურ ენაზე. დისერტაციის შეფასება ხდება 11 წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმის მიხედვით (დახარისხებულია ტექნიკურ ასპექტებად/შინაარსად/დაცვის მომზადებად და შეფასებად), რომელთაც კონკრეტული წონა აქვთ და საჯაროდ ცნობილია. სადისერტაციო კომიტეტი მოიცავს გარე შემფასებლებს, რომელთა დაფინანსება ჩადებულია პროგრამის ბიუჯეტში. საერთო ჯამში, შეფასების პროცესი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტისათვის სრულიად გამჭვირვალეა. დოქტორანტურის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს შეფასება, თუკი ის არ ეთანხმება შედეგებს. ამ მიზნით, სტუდენტი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით „გამოცდის პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრების სახელმძღვანელოს“ შესახებ, ეს რეგულაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *კურსის სილაბუსები* ○ *პროგრამის აღწერილობა* ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან* ○ *"სადოქტორო პროგრამის დაგეგმილი კვლევითი გეგმის სამეცნიერო კომპონენტი"* ○ *რეგულაციები „დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების“ შესახებ* ○ *სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი* ○ *რეგულაციები „გამოცდის პროცედურებისა და შედეგების გასაჩივრების შესახებ“.*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სადოქტორო პროგრამისათვის, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისაგან სრულყოფილებისადმი თავდადებას, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დადგენილი უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე ზოგადი ეროვნული რეგულაციებით გათვალისწინებული მინიმუმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დისერტაციების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა გვაჩვენა, რომ სტუდენტები იღებენ საკმარის კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სადოქტორო სწავლების პროცესში. პროგრამის დირექტორი პასუხისმგებელია მიაწოდოს დოქტორანტს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, ინდივიდუალურად მისცეს მას რჩევენი კურიკულუმის სწორად დაგეგმვის მიზნით, თავი გაართვას სხვა ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც პროგრამის განხორციელებას ეხება და ა.შ. საგანმანათლებლო პროცესთან, პროგრამებთან და აქტივობებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა ითვალისწინებს სტუდენტების სადოქტორო ხელმძღვანელის ინდივიდუალურ სამუშაოს, რომელიც შეადგენს 210 საათს (3 წელი) და თითო საგანზე 15 საათამდე კონსულტაციას. დოქტორანტურის სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ხელმძღვანელები მათ ეხმარებიან და მათთან კონსულტაციები ადვილად ხელმისაწვდომია.. საკონსულტაციო საათები ცხადდება და ცნობილია სტუდენტებისთვის.

პროგრამა ყურადღებას ამახვილებს დოქტორანტების სპეციალურ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მისი სწავლის პროცესის პროგრესზე ისე, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაძლებელია დოქტორანტის აკადემიური მომზადების/სხვა საჭიროებების დონის შესაბამისად. ინდივიდუალურ გეგმებს ოფიციალურად ამოწმებს სპეციალური კომისია, რომელიც შედგება კონკრეტული მიმართულებების პროფესორებისგან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელისგან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან, ლექტორებს ასევე შეუძლიათ ალტერნატიული სწავლის მეთოდების შემოთავაზება.

აღსანიშნავია, რომ დოქტორანტებს სწავლების დროს აქვთ შესაძლებლობები ჩაერთონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში, კონფერენციებში, ფესტივალებში, ასევე მონაწილეობა მიიღონ და ორგანიზება გაუწიონ ზოგიერთ ამ აქტივობას. ამასთან ერთად, შესაბამისი დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტებს საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე წვდომით (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სხვა ტრენინგები და ა.შ.). ინტერვიუების დროს, დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროცესთან, პროგრამებთან და აქტივობებთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საერთაშორისო კომპონენტის გაძლიერება დაეხმარება ამ კონკრეტული პროგრამას, გახდის მას უფრო მიმზიდველსა და წარმატებულს. მდიდარი გამოცდილების მქონე უცხოელი მკვლევარების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში ან დოქტორანტების გაგზავნა საზღვარგარეთ გაცვლით კურსებზე დასასწრებად, ერთობლივ კვლევით პროგრამებზე მუშაობა, ზრდის დამატებითი დაფინანსების ქონის შანსებს ამ მიზნებისთვის, სამომავლოდ ამ პროგრამისთვის გარკვეული გამოწვევები იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მკაცრ ბიუჯეტზე მუშაობს, იგი მოწადინებულია დაეხმაროს სტუდენტებს და მუდმივად ეძებს დამატებითი დაფინანსების წყაროებს, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, და დაბალი შემოსავლების მქონე სტუდენტების უზრუნველყოს ფინანსურად, მათთვის სწავლის საფასურის შემცირების ან მოხსნის გზით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის ცენტრი სრულყოფილად არ ფუნქციონირებს. ამჟამინდელი სტუდენტების უმრავლესობა უკვე დასაქმებულია, თუმცა გათვალისწინებული უნდა იყოს ისე, რომ მხარდაჭერა აღმოუჩინოთ იმ სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება (ერთი ასეთი შემთხვევა

დაფიქსირდა სტუდენტებთან ინტერვიუების დროს), რომ მათ მოუძებნოთ რაიმე სახის დასაქმება, შესაძლოა უნივერსიტეტშიც კი, თავიანთი სწავლის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას* ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *სტუდენტების მონაწილეობითა და ჩართულობით ჩატარებული ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემები* ○ *პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა* ○ *სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი* ○ *ფაკულტეტის სპეციალისტების პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი* ○ *უნივერსიტეტის ვებ-გვერდი*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ განაგრძეთ მხარდაჭერა და ფინანსების მოზიდვა დოქტორანტურის სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისა და კვლევითი კურსებისთვის. ○ უზრუნველყავით დამატებითი შესაძლებლობები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში მუდმივად მონაწილეობის მისაღებად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ იგი ორიენტირებულია მომავალი პროფესიონალი აკადემიური პერსონალის მომზადებაზე ამ კონკრეტული სადოქტორო პროგრამისთვის და აძლევს ამჟამინდელ დოქტორანტებს შესაძლებლობას განაგრძონ მათი აკადემიური საქმიანობა პროგრამის ფარგლებში. ○ უნივერსიტეტის ძალისხმევა უზრუნველყოს ფინანსური დახმარება რაც შეიძლება მეტი სტუდენტისთვის, გააზრებული აქვს რა ის ფაქტი, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ შეუძლია სწავლის საფასურის გადახდა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ყველა დოქტორანტი სარგებლობს პირისპირ მიდგომით, ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი თანა-ხელმძღვანელი, რომელსაც გაჩნია დესერტაციის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

ხელმძღვანელები აქვთ ძლიერი აკადემიური სამუშაო გამოცდილება ისევე, როგორც პროფესიული გამოცდილება ხელოვნების მენეჯმენტში, აღნიშნულ დარგში ისინი დიდი ხანია რაც აქტიურად მოღვაწეობენ.

ხელმძღვანელები რეგულარულ საფუძველზე უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა ითვალისწინებს სტუდენტების სადოქტორო ხელმძღვანელის ინდივიდუალურ სამუშაოს, რომელიც შეადგენს 210 საათს (3 წელი). საკონსულტაციო საათები ცხადდება და ცნობილია სტუდენტებისთვის. დოქტორანტურის სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ხელმძღვანელები მათ ეხმარებიან და მათთან კონსულტაციები ადვილად ხელმისაწვდომია..

ინტერვიუებმა დისერტაციის ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, შესაბამისი დოკუმენტაციის (CV-ები და საუნივერსიტეტო რეგულაციები) გაცნობასთან ერთად, წარმოადგინა იმის მტკიცებულებები, რომ ამ კუთხით პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თვითშეფასების ანგარიში*
- *ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას*
- *სასწავლო ცხრილი და ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი*
- *დოქტორანტთა გამოკითხვების შედეგები*
- *სასწავლო პროცესის წესი;*
- *საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების რეგულაცია;*
- *სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ერთ-ერთი უპირატესობაა მისი განმახორციელებელი გუნდის შეთანხმებული მუშაობა. ეს გუნდი შედგება 4 აკადემიური და 3 მოწვეული თანამშრომლისგან. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების თანახმად, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციების მიხედვით.

საერთო ჯამში, პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ ძლიერი - ზოგიერთ შემთხვევაში გამორჩეული - აკადემიური და პროფესიული
გამოცდილება მათ სფეროში. აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას, თუმცა პროგრამის განვითარებასთან ერთად, საჭიროა ახალი პერსონალის მოყვანა, რომელიც მეტად ორიენტირებული იქნება ხელოვნების მენეჯმენტის დარგზე და უფრო აქტიურად იმუშავებს კვლევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, აღნიშნულ დარგში. კვლევის შედეგი უნდა წარმოიქმნას მთლიანი სასწავლო გუნდის მიერ ერთგვაროვნად. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა (50%ზე მეტი), სასწავლო გუნდის მხოლოდ 2 წევრისგან მოდის.

შეზღუდული ფინანსების გამო, სწავლებას აკლია საერთაშორისო კომპონენეტი რთულია უცხოელი მკვლევარების მოწვევა საერთაშორისო ცოდნის გადმოცემისა და დოქტორანტებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

რამდენადაც ნებისმიერ დარგში ჩატარებული კვლევების უმეტესობა ძირითადად ინგლისურ ენაზე ქვეყნდება, ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის წახალისებას, რათა მათ მეტად გამოაქვეყნონ კვლევის შედეგები საერთაშორისო ჟურნალებში ინგლისურ ენაზე. ეს ასევე ხელს შეუწყობს კვლევითი აქტივობების ინტერნაციონალიზაციას პროგრამის ჩარჩოს ფარგლებში. ფაკულტეტმა და პროგრამამ უნდა შეიმუშავონ კონკრეტული ქმედებები ფაკულტეტისა და პროგრამის დონაზე კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც 2018-2024 წლების უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

რამდენადაც აკადემიური პერსონალის რამდენიმე წევს კავშირები აქვს პროფესიონალ სამყაროსთან ამ დარგში, პროგრამას შეუძლია ისარგებლოს ამ შესაძლებლობების გამოყენებით, რათა შექმნას ერთობლივი თემატური სფეროები კვლევისთვის, სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ეროვნული ინტერესებშიც შედიოდეს. ეს გააძლიერებს პროგრამის იდენტობას და შესაძლოა დამატებითი ფინანსების მოზიდვაც გამოიწვიოს.

პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის პროფესორია, რომელსაც შესანიშნავი აკადემიური ცოდნა და პროფესიული გამოცდილება აქვს, იგი დიდი ხანია რაც ჩართულია დოქტორანტებისთვის რჩევების გაწევის პროცესში. იგი ძლიერი ლიდერია, აქვს ნათელი წარმოდგენა პროგრამის მიზნებზე, მის გამოწვევებზე და სამომავლო განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტებზე.

სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაფერისი კომპეტენციისა და რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას* ○ *შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, პროგრამის ხელმძღვანელი* ○ *აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების ნუსხა და პერსონალის დატვირთვის ცხრილი* ○ *დოქტორანტთა გამოკითხვების შედეგები* ○ *სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი*
რეკომენდაციები: ○ პროგრამაში ჩართული სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო აქტივობების გაზრდის მიზნით, წაახალისეთ და გადაამზადეთ ისინი. ○ გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და მისი პერსონალისათვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მოიწვიეთ უცხოელი მკვლევარები დოქტორანტებისათვის საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გადასაცემად. გამოიყენებულ იქნეს ევროკავშირის დაფინანსების შესაძლებლობები პერსონალის გაცვლის თვალსაზრისით. ○ პროგრამისთვის თემატური საკვლევი დღის წესრიგის შემუშავების მიზნით, იმუშავეთ საზოგადოებრივ პარტნიორებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება რეგულარული გამოკითხვების საშუალებით, რომელსაც აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სამეცნიერო შრომებზე ინდივიდუალური ანგარიშების წარმოდგენის მეშვეობით. შეფასების შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები, როგორც წესი, წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და ზოგიერთ შემთხვევაში პერსონალს, ინდივიდუალურად. ამ გზით, შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური კონკურსის კრიტერიუმებშიც.

აკადემიური პერსონალის განვითარების მონიტორინგი წლიური აქტივობების და სხვადასხვა აქტივობებისთვის გამოყოფილი დროებით წარმოდგენილი სამუშაო გეგმების ანგარიშების ჩაბარებით ხდება.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის სამეცნიერო განვითარებას ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციებითა და საკონფერენციო ნაშრომების გამოქვეყნებით. უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს სხვა კონფერენციებსა და სამეცნიერო ღონისძიებებს, ან მსგავსი აქტივობების თანა-ორგანიზატორია. უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლი „კენტავრი“ ყოველკვირეულად აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალს „ხელოვნებისა და მეცნიერების რეფერატები“ და ა.შ. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად საჭირო ფინანსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. პროგრამის მართვის გუნდი აცნობიერებს ხელოვნების მენეჯმენტში სამეცნიერო დარგის განვითარების საჭიროებას. შესაბამისად, მეტი თანხა უნდა გამოიყოს ეროვნული და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, რაც მჭიდრო კავშირშია პროგრამის განვითარებასთან.

რამდენადაც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა მცირეა, პერსონალის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინგლისურ ენაზე სამეცნიერო წერის უნარების გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის მენეჯმენტთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის*

გუნდთან
- *თვითშეფასების ანგარიში*
- *დარგის აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის შესახებ მონაცემები.*
- *ყოველწლიური კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების სია*
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

გაზარდეთ იმ სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა და დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებულია ხელოვნების მენეჯმენტის დარგზე და მიზნად ისახავს ამ დარგის ზოგად განვითარებას ისე, რომ მეტი აღიარება მოუპოვოს პროგრამას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობებში, ეს უნივერსიტეტი ტრადიციულად უზრუნველყოფს განათლებას ხელოვნების დარგში. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები, IT სისტემები) საკმარისია პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტს აქვს დიდი ბიბლიოთეკა, სადაც ამჟამად წიგნების 80 000ზე მეტი ტომი, ჟურნალები, სამეცნიერო რეფერატები, დისერტაციები და დიპლომები ინახება. ამ კონკრეტული პროგრამის მიზნებისთვის, ბიბლიოთეკას აქვს საგანმანათლებლო მასალები ბიზნესის ადმინისტრირების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების დარგში, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ ხელოვნების დარგში განათლება, შეუძლიათ გაეცნონ ხელოვნების სამყაროს საქართველოს ტერიტორიაზე ორგანიზებულ ტეატრალურ და კინო ფესტივალებში აქტიური ჩართულობით, აჩვენეთ მათ თეატრალურიწარმოდგენები, კინო და სატელევიზიო პროექტები ან სხვა ვიდეო მასალები, გააცანით მათ მსოფლიოს სხვადასხვა სცენა, საცერემომნიო წარმოდგენები, ფილმები, არქიტექტურული და მხატვრული შედებრები და ა.შ.

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა მოიცავს წვდომას ელექტრონულ რესურსებზე (სამეცნიერო ჟურნალები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.) სტუდენტებისთვის, როგორც ადგილზე ასევე დისტანციურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას მენეჯმენტთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*
- *თვითშეფასების ანგარიში*
- *ობიექტებზე ვიზიტი*
- *საბიბლიოთეკო რესურსები*
- *მატერიალური რესურსების კვლევის შედეგები*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური რესურსები (და მთლიანად უნივერსიტეტის) მოდის სახელმწიფო დაფინანსებიდან, უმეტესად განათლების სამინისტროდან, დამატებით ფინანსებს კი TAFU-სთვის უზრუნველყოფს კულტურის სამინისტრო.

ეს უკანასკნელი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ საუკეთესო სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდისას ფინანსური დახმარებისთვის მანამ, სანამ ისინი შეინარჩუნებენ სტიპენდიას აკადემიური მოსწრების საფუძველზე.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის განაწილება სხვადასხვა ფაკულტეტებსა და პროგრამებზე ითვალისწინებს განვითარებისათვის აუცილებელ საჭიროებებს, ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვები ერთ-ერთი მთავარი შენატანია ამ პროცესში.

ადგილზე განხორციელებული ვიზიტისას უნივერსიტეტის მართვის გუნდთან და პროგრამის დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ პროგრამა დოქტორანტურის სტუდენტებს სთავაზობს ფინანსურ დახმარებას სწავლის საფასურის ნაწილობრივი გადახდის ფორმით. უნივერსიტეტის მიზანია შესთავაზოს სტუდენტებს უფასო სადოქტორო პროგრამები და ფინანსური რესურსების გამოყოფა მათ განსახორციელებლად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევის მიმართულების წასახალისებლად. თუმცა, ჯერ არ არსებობს კონკრეტული გეგმა საერთაშორისო პროგრამებიდან

დამატებითი ფინანსების მოსაზიდი აქტივობებისთვის. იმავდროულად, უნივერსიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის ხანგრძლივ მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას მენეჯმენტთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან* ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გამოიყენეთ დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები ევროკავშირის სხვადასხვა ან სხვა საერთაშორისო პროგრამებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ კულტურის სფეროში განათლებისა და კვლევის მხარდაჭერას. ინტერნაციონალიზაციის გაზრდა დაეხმარება პარტნიორებს შეიმუშაონ გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნობრივ აქტივობებს პროგრამისათვის დამატებითი ფინანსირების მოსაპოვებლად (ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინერგა 2005 წელს, განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკადემიური, უნივერსიტეტში სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალის წევრი და ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორთან. ხარისხის უზრუნველყოფის ფაკულტეტების ოფისები პასუხისმგებლები არიან თითოეულ ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის მუშაობასა და კოორდინირებაზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წევრები მონაწილეობას იღებენ განყოფილებების შეხვედრებში საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესთან, სასწავლო პროგრამასთან, სილაბუსებთან, შეფასების შიდა რეგულაციებთან და სხვა თემებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ,. რეგულაციები და შეფასების ინსტრუმენტები, ისევე როგორც სხვა ცვლილებები, განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესში პერსონალის მონაწილეობის მიღების გარანტიას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პასუხისმგებელია და რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებზე, რომელთა შედეგებიც გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად და საგანმანათლებლო პროცესის უკეთ დასაგეგმად. წინა წლის

შემდეგ, გამოკითხვების უმრავლესობა ონლაინ სისტემაში ტარდება. ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის დირექტორთან შეხვედრისას, ცხადი იყო, რომ გამოკითხვების შედეგებს აცნობებენ პროგრამის დირექტორსა და აკადემიურ პერსონალს განსახილველად და იყენებენ სათანადოდ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურები ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს, მაგალითად, სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების უნივერსიტეტის მისიასთან /საგანმანათლებლო პროგრამასთან/შემოქმედებით პროცესთან/სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასთან/საგანმანათლებლო პროცესთან / აკადემიურ პერსონალთან/ადმინისტრაციულ პერსონალთან და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურასთან თანმიმდევრულობას და ა.შ. შესაბამისი რეგულაციები და დოკუმენტები (შაბლონები(საჯაროდ ხელმისაწვდომია ამ პროცესების ხელშესაწყობად. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოსაზრებას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უწყვეტად ვითარდება *„შიდა შეფასებისა და აკრედიტაციის პროცესის“ მიდგომით.*
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან* ○ *ინტერვიუ პროგრამის დირექტორთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან* ○ *გამოკითხვები და შედეგები* ○ *ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი რეგულაციები*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ბოლოს აკრედიტებული იყო 2012 წელს. აკრედიტაციის შედეგები, ექსპერტთა, ისევე, როგორც აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები, განხილულ იქნა პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ:

- არჩევითი კურსი“*საგანმანათლებლო კანონმდებლობა* შეტანილია პროგრამაში.
- პროგრამას დაემატა კომპეტენციების რუკა.
- უნივერსიტეტმა განაახლა წვდომა საერთაშორისო ონლაინ რესურსებზე.
- გაიზარდა დარგის აკადემიური პერსონალის რაოდენობა და ა.შ.

საერთო ჯამში, პროგრამის გაუმჯობესებისათვის ცვლილებები განხორციელდა 2012-2017 წლებში. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება პროგრამის შესაბამისობას წინა აკრედიტაციის რეკომენდაციებთან არჩევითი კურსების უზრუნველყოფის შესახებ, როგორც ეს დასახელებულია წინამდებარე ანგარიშის 2.3 პარაგრაფში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *ინტერვიუები თვითშეფასების გუნდთან და პროგრამის დირექტორთან*
- *პროგრამის აღწერილობა*
- *ცვლილებების განხილვისა და დამტკიცების რიგი ოქმები*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობით, კარგად ჩამოყალიბებული სქემის მეშვეობით ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. კონკრეტული კურსისათვის სტუდენტთა შეფასების შედეგები ძირითადად ეგზავნებათ ამ კურსის ლექტორებს და, საკითხის მიხედვით, ფაკულტეტის ადმინისტრაციას. საკითხები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელიც დგამს შესაბამის ნაბიჯს. უახლესი განხილვების ნიმუშები მოიცავს ცვლილებებს კურიკულუმში, პრაქტიკული აქტივობების გაძლიერებას, რიდერების დანერგვას და ა.შ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან განგრძობადი კომუნიკაციის შესანარჩუნებლად, უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა ლიგაა შექმნილი, რომელიც აერთიანებს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. ეს ფორმატი საშუალებას იძლევა კურსდამთავრებულების განათლების შემდეგი აქტივობების შესწავლისა. სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები კიდევ უფრო მეტად არიან დაახლოებულები უნივერსიტეტთან, რადგან ისინი აგრძელებენ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას უნივერსიტეტში და მათი კვლევაც აღრიცხულია. კურსდამთავრებულების შენატანი გამოკითხვების გზით, გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის გაძლიერების კუთხით მენეჯმენტის სფეროში, ახალი თანამშრომლების დაქირავებით. კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელმა დამსაქმებლებმა წვლილი შეიტანეს პროგრამის მიმართულებაში. ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემატურ ძალისხმევას პერიოდული მონიტორინგისა და მიმოხილვის

სწავლა/სწავლების პროცესის ყველა ელემენტის განხილავს, მაგალითად სასწავლო მასალების, რაც თითქოს გამოტოვებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. რამდენიმე საგანში, შესაბამისი სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურას, რომელიც ძველია (ზოგიერთი 80-იანი წლებისაა). ამასთან ერთად, პერიოდულმა განხილვამ უნდა დაიწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგების სისტემატური აღრიცხვა. რადგან ეს სადოქტორო პროგრამაა, მისი კურსდამთავრებულების კვლევის პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (მაღალი იმპაქტის მქონე ჟურნალებში, ციტირების რაოდენობა და სხვ.) ასახავს პროგრამის ხარისხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან* ○ *გამოკითხვები და მათი ანალიზი* ○ *ხელოვნებისა და მეცნიერების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შეფასებები და შედეგები (წლების მიხედვით)* ○ *აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსების განცხადებების დამტკიცების გრძანებები და შედეგები*
რეკომენდაციები: ○ პერიოდული განხილვა უნდა მოიცავდეს თითოეული კურსის სილაბუსების დეტალურ განხილვას, მათ შორის ლიტერატურის განახლებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნების მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პანდელის იპსილანდისი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნათია დაღელიშვილი

თამაზ გაბისონია

ნანა ფირცხელანი